„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერი ჩვენ ვართ ყველაო“

ყოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2020 წელი • №18 (9490) • 16-30 სექტემბერი • ფასი 50 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

შეხვედრა წარმატებულ კურსდამთავრებულთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ლევან კუპრეიშვილი, მერის მოადგილე, კახაბერ კუპრეიშვილი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი და ამავე სამსახურის წარმომადგენელი, ირმა კუპრეიშვილი, სენაკის მეშვიდე საჯარო სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის ფაკულტეტის სტუდენტს, ანა ფაციას შეხვდნენ.

ანა მუნიციპალიტეტის მასშტაბით წარმატებული სტუდენტია, რომელმაც, მიმდინარე წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი სახელმწიფო გრანტი მოიპოვა.

მუნიციპალიტეტის მერმა სენაკელ ახალგაზრდას ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული გამარჯვება მიულოცა, წარმატებული, ღაღი სტუდენტობა უსურვა და ფულად ჯილდოდ 1000 ლარი გადასცა.

სამოყვარულო ჩემპიონატის მატჩი

სენაკში 7×7 ფეხბურთში სამოყვარულო ჩემპიონატ „მასტერ ლიგის" მატჩი გაიმართა.

ფეხბურთის მატჩს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, 7×7 ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი აკაკი ხლაბუსტოვი, ასოციაციის ხელმძღვანელი სამეგრელოში როსტევან ფარცვანია და გულშემატკივრები დაესწრნენ.

დევნილთა საფეხბურთო გუნდ ,,ცხუმის" და ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეულის გუნდ ,,ფოცხოს" შეხვედრა ფოცხოელთა გუნდის გამარჯვებით, 3-2 დასრულდა.

პროექტი მიზნად ისახავს ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

დასუფთავების აქცია

დასუფთავების ყოველწლიურ საერთაშორისო კამპანიას - ,,დავასუფთაოთ მსოფლიო" - სენაკის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა.

პანდემიის გამო, დასუფთავების აქცია -,,ყოველი მცირე ქმედება სამყაროს განსხვავებულს ხდის" - სხვადასხვა ლოკაციაზე მცირე ჯგუფების მონაწილეობით ჩატარდა.

აქციაში მონაწილეობა მიიღეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, მერიისა და ა(ა)იპი-ების თანამშრომლებმა.

საყოფაცხოვრებო და სხვა სახის მყარი ნარჩენებისაგან დასუფთავდა რკინიგზის ბაქანი, ადმინისტრაციული შენობების მიმდინარე ტერიტორიები, მდინარე ტეხურის სანაპირო ზოლი, სკვერები, ტურისტული დანიშნულების ადგილები.

კამპანია განხორციელდა შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველოს" მიერ (პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად), პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე" ფარგლებში.

კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში

კორონავირუსის საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

სხდომას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი ხელმძღვანელობდა და მას მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, მერიის სამსახურებისა და ა(ა)იპი-ების უფროსები ესწრებოდნენ.

სხდომაზე განიხილეს კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის ერთობლივად გასატარებელი ღონისძიებები.

სენაკის მუნიციპალიტეტში, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ვირუსული ინფექციის გავრცელების რისკის შესამცირებლად, ასევე სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების თანმიმდევრულად და ეფექტიანად დაძლევისთვის შეიქმნება მონიტორინგის ჯგუფი.

***

სენაკის მუნიციპალიტეტში კორონავირუსის საპრევენციო ღონისძიებები ინტენსიურად მიმდინარეობს.

დეზინფექცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამხატვრო და სამუსიკო სკოლებს.

სამუშაოების მიმდინარეობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი გაეცნენ.

***

სენაკის მუნიციპალიტეტში კორონავირუსის საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში, სადეზინფექციო სამუშაოები გრძელდება.

დეზინფექცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების ცენტრს და სასპორტო სკოლას.

სამუშაოების მიმდინარეობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი გაეცნენ.

მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ვირუსული ინფექციის გავრცელების რისკის შესამცირებლად, მუნიციპალიტეტში სადეზინფექციო სამუშაოები გაგრძელდება.

ქალაქს ორი საკალათბურთო მოედანი შეემატება

სენაკში პირველი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მსოფლიო დონის კალათბურთელის, სენაკის საპატიო მოქალაქის ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო მოედნის მოწყობა აქტიურად მიმდინარეობს.

საკალათბურთო მოედნის მოწყობის პროცესი სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ, გრიგოლ ბაღათურიამ, მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა მოინახულეს.

,,საკალათბურთო მოედანი, რომელიც მესამე იქნება ჩემი და გალფის თანამშრომლობის განმავლობაში, გაიხსნება სენაკში, ქალაქში, რომელთანაც ძალიან ბევრი ბავშვობის მოგონება მაკავშირებს" - აღნიშნა ზაზა ფაჩულიამ სენაკში მოედნის ტერიტორიაზე კაფსულის ჩაშვების ცერემონიაზე ყოფნისას.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკალათბურთო მოედნის მშენებლობა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება სენაკში, სპორტის ამ სახეობის განვითარების კუთხით.

საკალათბურთო მოედნის მშენებლობა ზაზა ფაჩულიას ინიციატივით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და კომპანია „გალფის" ერთობლივი პროექტის ფარგლებში 2019 წლის აგვისტოში დაიწყო.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ასევე დაათვალიერეს იუსტიციის სახლის მიმდებარედ მოწყობილი საკალათბურთო მოედანი და გამწვანებული სკვერი, რაც ადგილობრივ მოსახლეობასა და, განსაკუთრებით, მომავალ თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ამასთან, კომფორტულ დასვენებას შეუწყობს ხელს.

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

ქართული ოცნება - „ერთად საქართველოს წარმატებისათვის! №41

ირაკლი ხახუბია – ფოთის, სენაკისა და ხობის მაჟორიტარად

დაიბადა 1971 წლის 15 მაისს ქალაქ ფოთში. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სპეციალობით –ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა, აგრეთვე თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა – ინსტიტუტი, სპეციალობით-საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.

1988-1989 წლებში მუშაობდა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს საწარმოო უბნის ზეინკლის მოწაფედ, ზეინკლად. 1994–1995 წლებში იყო შპს ,,ბესსის" მარკეტინგული განყოფილების გამგე. შემდგომ წლებში იყო სს ,,ფოთინავთობპროდუქტის" დირექტორი კომერციულ დარგში.

2000 წლიდან სამსახურებრივი კარიერა გააგრძელა საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს სამართალდარღვევების წინააღმდეგ მებრძოლ სამმართველოში. შემდგომში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტსა და ფინანსური პოლიციის ოპერატიულ დეპარტამენტში.

2010 წელს დააფუძნა შპს ,,აისბერგი", 2012 წელს კი-,,ჯეონათსი".

2016 წელს, ,,ქართული ოცნების" წარდგენით, ფოთის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულ იქნა IX მოწვევის პარლამენტის წევრად. არის საპარლამენტო ფრაქცია ,,ქართული ოცნება-ძლიერი ეკონომიკის" თავმჯდომარის მოადგილე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტისა და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი.

ჰყავს მეუღლე და შვილი.

მიმართვა

იყო ხალხის წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, უდიდესი პატივი და ამასთანავე, პასუხისმგებლობაა. ვფიქრობ, დეპუტატის მანდატი არის კარგი შესაძლებლობა, ვაკეთო უფრო მეტი საქმე მოქალაქეებისათვის. მაჟორიტარი დეპუტატის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა მოქალაქეებისათვის საჭირო პროექტების ლობირება როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. აქედან გამომდინარე, მაქსიმალურად ვიქნები ინიციატორი და განხორციელების პროცესში აქტიურად ჩართული ყველა იმ პროექტსა და პროგრამაში, რაც ჩემი სამაჟორიტარო ოლქის-ფოთის, ხობისა და სენაკის მაცხოვრებლების კეთილდღეობისკენ იქნება მიმართული.

შეძენილი გამოცდილება და 4 წლის განმავლობაში ჩემს სამაჟორიტარო ოლქში, ფოთში, განხორციელებული ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროექტების სიმრავლე მაძლევს მყარ საფუძველს, გავხდე ფოთელების, ხობელებისა და სენაკელების ხმა საქართველოს პარლამენტში.

შემიძლია შედეგზე ორიენტირებული კომუნიკაცია იმ სახელმწიფო უწყებებთან და კერძო სექტორთან, საიდანაც მოქალაქეებს შეუძლიათ კონკრეტული სარგებლის მიღება.

დარწმუნებული ვარ, გუნდთან ერთად განვახორციელებ პროექტებს, რომლებიც ჩვენი სახელმწიფოს და მოქალაქეების წინსვლასა და წარმატებას უზრუნველყოფს. ჩვენი გუნდი, პარტია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო", ეროვნულ ინტერესებსა და ევროპული დემოკრატიის იდეალებზე დაფუძნებით, ქართული სახელმწიფოს განვითარების ახალ ეტაპს იწყებს. დეპუტატის მანდატი მომცემს შესაძლებლობას, ხელი შევუწყო ჩვენი რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების გაძლიერებას საქართველოს წარმატებისათვის

„ლელო"- „ახალი ძალა-შენი საქართველოსათვის!" №56

გიორგი ბარამია – ფოთის, სენაკისა და ხობის მაჟორიტარად

დიპლომატი, დაიბადა სოხუმში. იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. მუშაობდა აფხაზეთის მთავრობასა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, იყო საქართველოს კონსული საბერძნეთში. გიორგი ბარამიას დიდი წვლილი მიუძღვის აფხაზურ-ქართული ურთიერთობების გაღრმავებაში. იგი იყო აფხაზებთან დიალოგის ინიციატორი და ძალიან ბევრი რამ გააკეთა ამ დიალოგის განვითარებისათვის.

პოლიტიკური საქმიანობა

,,ლელო საქართველოსათვის" არის პარტია, რომელიც თავისი ღირებულებებით ორიენტირებულია დასავლურ ფასეულობებზე, კანონის უზენაესობაზე და ადამიანის უფლებების დაცვაზე. ეს არის ახალი ძალა, ახალი იმედი, რომელიც დღეს ნიჰილიზმში მყოფ საქართველოს მოსახლეობას ჰაერივით სჭირდება. სწორედ ამიტომ, ჩემი პოლიტიკური გამოცდილებიდან გამომდინარე, მე ვდგავარ ამ პარტიის გვერდით და მინდა, ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო ქვეყნის განვითარების საქმეში, რომელიც მხოლოდ პარტია ,,ლელო საქართველოსათვის" შეუძლია.

„ლელო" არის ძალა, რომელიც შექმნის ეკონომიკის მძლავრ ხერხემალს, ასი ათასობით ახალ სამუშაო ადგილს, ერთხელ და სამუდამოდ წელში გამართავს ყველა ოჯახს საქართველოში, შექმნის ძლიერ საშუალო ფენას, შემოიტანს ქვეყანაში მილიარდობით ინვესტიციას, ფეხზე დააყენებს მცირე და საშუალო ბიზნესს. გზას გაუხსნის ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებს. ,,ლელო" არის ძალა, რომელიც ჩაატარებს განათლებისა და ჯანდაცვის ფუნდამენტურ რეფორმას.

„ლელო" არის ძალა, რომელიც თითოეულ რეგიონს მისცემს ინდივიდუალური და სწორი განვითარების საშუალებას. გააძლიერებს თვითმმართველობას, გლეხს აქცევს მდიდარ ფერმერად, გააცოცხლებს ქართულ სოფელს მთასა და ბარში! ,,ლელო" არის ახალი ეროვნული ძალა, რომელიც თქვენთან ერთად საქართველოს აქცევს რეგიონის ლიდერ ქვეყნად, აღადგენს ტერიტორიულ მთლიანობას და გააერთიანებს ჩვენს ქვეყანას. ჩვენ – პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის" ვართ ერთადერთი ალტერნატივა, რომელიც დაამარცხებს ორპოლუსიანობას, დაანგრევს ძველ სისტემას და შექმნის სრულიად ახალ პოლიტიკურ რეალობას.

ოქტომბრის არჩევნები არის გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოს მომავლისთვის.

მხარი დაგვიჭირეთ. მხარი დაუჭირეთ ჩვენს კანდიდატებს. ისინი იქნებიან თქვენი ნამდვილი წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში, თქვენი ყველა პრობლემის, ტკივილისა თუ სიხარულის გამზიარებლები. მხარი დაუჭირეთ „ლელოს", რადგან ასე თქვენ მხარს უჭერთ თქვენს შვილებს, თქვენს მომავალს, თქვენს ქვეყანას.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - კეთილდღეობა ყველას და არა ერთეულებს №5

მურთაზ ზოდელავა – ფოთის, სენაკისა და ხობის მაჟორიტარად

,,კეთილდღეობა ყველას და არა ერთეულებს"- ჩვენი ქვეყნის წარმატებული იდეა, რომელმაც უნდა გაგვაერთიანოს, სახელმწიფო უნდა ემსახურებოდეს ყველას და არა ერთეულების ინტერესებს.

დღეს ჩვენი ქვეყნის სიღარიბის მთავარი მიზეზი ის არის, რომ სახელმწიფოს არა აქვს ფული და რესურსი. მოპარული წარმატება, ბედნიერება, განვითარება და კეთილდღეობა უკავშირდება კორუფციულ მმართველობას, რეფორმების არარსებობას, ერთეულებზე მორგებული კანონებისა და გადაწყვეტილებების მიღებას. დღეს სახელმწიფო დოვლათსა და რესურსს მხოლოდ ერთეულები მოიხმარენ, რაც ყველა ოჯახის კეთილდღეობის, განვითარებისა და ახალი შესაძლებლობების გაჩენისათვის იქნებოდა საკმარისი.სწორედ ამიტომ, ჩვენი გეგმის მთავარი მიზანია-კეთლდღეობა, უსაფრთხოება და წარმატება ყველას და არა ერთეულებს. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ჩვენ განვახორციელებთ ოჯახების გაძლიერების ხუთპუნქტიან გეგმას:

ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების 5-პუნქტიანი გეგმა

ჩვენი გეგმის მთავარი მისია არის ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება- კეთლდღეობა ყველას და არა ერთეულებს!

1. შვილებს

*** ბაღის აღსაზრდელებს: სკოლამდელი განათლების 1500-ლარიანი ვაუჩერი.**

*** ბავშვების სასკოლო განათლების დაფინანსება გასამმაგდება: სკოლის მოსწავლეებს ყოველწლიური, 2000 ლარიანი სასკოლო ვაუჩერი, რომელსაც მშობელი გამოიყენებს, როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლაში.**

*** სტუდენტებისათვის, განათლების დაფინანსება გაორმაგდება-4500-ლარიანი ყოველწლიური სახელმწიფო გრანტი.**

2. ჯანმრთელი ოჯახი

*** ოჯახის თითოეული წევრისათვის-მედიკამენტების ფასების განახევრება, სრული პროფილაქტიკური კვლევები და საყოველთაო ჯანდაცვის გაუმჯობესებული სერვისები, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, 400 ლარიანი კერძო პრემიუმ დაზღვევით.**

3. ოჯახის დასაქმებულებს

*** გაუქმდება საშემოსავლო გადასახადი-დასაქმებულს ხელფასიდან აღარ ჩამოეჭრება 20%. მას მეტი თანხა დარჩება და შეძლებს, უკეთ იზრუნოს საკუთარი ოჯახის კეთილდღეობაზე.ჩვენი რეფორმების შედეგად, ხელფასები იქნება ყოველწლიურად მზარდი და საქართველოში არსებული საშუალო ხელფასი 2000 ლარამდე გაიზრდება.**

4. სამსახურის მაძიებლებს

*** 300 ათასი ახალი სამუშაო ადგილი-ეკონომიკური რეფორმებით, ქვეყანაში, დამატებით შემოსული 10 მილიარდი დოლარის შედეგი.**

5. პენსიონერებს

*** პენსია -400 ლარი**

*** უზრუნველყოფილი ჯანდაცვა-მედიკამენტების ფასების განახევრება და უფასო გამოკვლევები.**

ამ გეგმის განხორციელების შედეგად საქართველო სიღარიბეს წარსულს ჩააბარებს და ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკის ქვეყანა გავხდებით.

ჩვენ ავაშენებთ თითოეული ოჯახების კეთილდღეობაზე ორიენტირებულ, ეკონომიკურად წარმატებულ, ტერიტორიულად მთლიან და ძლიერ სახელმწიფოს.

ევროპული საქართველო „შენი კომპასი გარდამტეხი ცვლილებებისათვის" №2

გიგა ბოკერია – ფოთის, სენაკის, ხობის მაჟორიტარად

გიგა ბოკერიას ხელშეკრულება სენაკელებთან:

1. სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისთვის დავწევთ აქციზის გადასახადს საწვავზე, რაც არსებითად შეუმცირებს ხარჯს სოფლის მეურნეობაში ჩართულ სენაკელებს

2. ქუთაისის აეროპორტში ავაშენებთ სატვირთო ტერმინალს, რაც დასავლეთ საქართველოში სოფლის მეურნეობაში ჩართულ ადამიანებს გაუხსნის ახალ შესაძლებლობებს ექსპორტისთვის

3. დავასრულებთ გაზიფიკაციის პროცესს, მოვაგვარებთ წყლით მომარაგებისა და გზების პრობლემას

4. მთავრობის ხელში არსებულ ქონებას, სოფლების გარშემო სახნავ-სათესს, საძოვარ მიწებს საკუთრებაში დავუბრუნებთ ხალხს

5. ეკონომიკის ამუშავების, ქვეყანაში სამედიცინო სადაზღვევო სისტემის რეფორმისა და სენაკის მუნიციპალიტეტისთვის მეტი ფულის დატოვების შედეგად, სენაკის მაცხოვრებლებს ექნებათ ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობა

6. ვიმუშავებთ უცხოელ და ქართველ ინვესტორებთან, რათა აღდგეს კურორტი მენჯი და ის სამედიცინო ტურიზმისთვის მიმზიდველ ადგილად გადაიქცეს

7. სენაკის რეალური თვითმმართველობის მისაღწევად, ადგილზე დავტოვებთ სენაკში აკრეფილი გადასახადების საგრძნობ ნაწილს და არამარტო ქონების გადასახადს, რითაც არსებითად გაიზრდება სენაკის ბიუჯეტი

8. სენაკელები აირჩევენ მათი მუნიციპალიტეტის პოლიციის შერიფსა და მოსამართლეს, რომელიც მხოლოდ მათ წინაშე იქნება ანგარიშვალდებული

მუნიციპალიტეტის მერიაში

(დასასრული)

თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღები

სენაკში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი შენდება.

ახალი საბავშვი ბაღის მშენებლობის მიმდინარეობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაური, დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორი ბესარიონ სიმონიშვილი, ლტოლვილთა დანიის საბჭოს საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი ვინსენტ დონტო, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი გაეცნენ.

სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ საჭირო ტექნიკით, ინვენტარით, ბუნებრივი აირითა და ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილი ნომერ მეოთხე საბავშვო ბაღი 100 აღსაზრდელს მოემსახურება. შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

პროექტს ლტოლვილთა დანიის საბჭო (DRC), საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, ახორციელებს.

ამავე პროექტის ფარგლებში, ყოფილი სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე დასრულდა საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

ჩატარდა ორსართულიანი საბავშვო ბაღის შენობის გაფართოების, გადახურვის, სველი წერტილების, სააღმზრდელო ოთახების, საკონცერტო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ახალი სააღმზრდელო წლიდან აღსაზრდელებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი მოემსახურება.

ასევე, მუნიციპალური განვითარების ფონდი ქალაქ სენაკში, ჯიხას ქუჩაზე მდებარე, გასული საუკუნის 50-იან წლებში აგებული მეხუთე ბაგა-ბაღის ამორტიზებული შენობის ადგილზე ახალ სააღმზრდელო დაწესებულებას აშენებს.

ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის 23 საბავშვო ბაღში წყალმომარაგების სისტემის და სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

სენაკში ასევე იგეგმება ნომერ მეშვიდე საბავშვო ბაღის მშენებლობა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

დალოცვილი იყავით!

ეს პატარები სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის საჯარო სკოლის პირველკლასელები არიან: დიანა ბახტაძე, ლიზი გრიგოლია, ლიზი ჩოჩია, ირინა თათარაშვილი, მათე ხურცია, ერის ხვალინდელი დღე, იმედი, რწმენა, გადარჩენა. ისინი სიხარულით არიან გულანთებულები, რადგან მათ დახვდათ ძალიან კეთილმოწყობილი და ლამაზი გარემო, სადაც უნდა ისწავლონ და განათლებულ თაობად ჩამოყალიბდნენ.

ყველა პირველკლასელს გადაეცა ახალი ნეტბუქები და სასწავლო სახელმძღვანელოები.

***

სიახლეებით, ოცნებებით, იმედით დაიწყო ახალი სასწავლო წელი მეორეკლასელების ილია ჟვანიას, ნიკოლოზ ლაკიას და მარიამ ციფურიასთვის. ისინი მოუთმენლად ელოდნენ ამ ლამაზ დღეს, რადგან ძალიან მოენატრათ მშობლიური სკოლა, საკლასო ოთახი, მეგობრები, მასწავლებლები: სპეც. მასწავლებელი ნაზიბროლა წულეისკირი, ასისტენტი თამარ გაბელია.

ჩემო პატარა მეგობრებო! სკოლაში გატარებული წლები ყოფილიყოს გამორჩეულად საინტერესო პერიოდი თქვენს ცხოვრებაში.

გისურვებთ საფუძვლიანი განათლების მიღებას, რადგან თქვენ და მხოლოდ თქვენ შემოგყურებთ ერი იმედით. გფარავდეთ უღრუბლო ზეცა მარადჟამს. დალოცვილ იყოს გზა-სავალი თქვენი.

დალი გოგიჩაიშვილი,
დამრიგებელი

ვულოცავთ!



ახალ სასწავლო წელთან ერთად ცხოვრების ახალი საფეხური დაიწყო თინათინ გეგეჭკორისთვის. ის შპს კერძო სკოლა ლიცეუმის მოსწავლე გახდა. უდიდესი სითბოთი და სიყვარულით მინდა მივულოცო პირველ ნაბიჯები დიდი ცოდნის მოსაპოვებელ გზაზე. ვუსურვებ კარგი სწავლით ასახელოს მშობლები, მშობლიური კუთხე.

დალი გოგიჩაიშვილი

სიახლე მუდამ იწვევს მოსახლეობის კმაყოფილებას. ხბოლო წლებია კოლხურ კოპწია ქალაქ სენაკს არ აკლია სიახლენი.

დასასრულს მიუახლოვდა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე აკაკი ხორავას სახელობის თეატრის სრული რეაბილიტაცია. განახლდა ხამხატვრო გალერიის შენობა, ახალი ფუნქცია შეიძინა მან. მოეწყო საკონფერენციო დარბაზი სადაც მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება. Qქალაქის დასვენების პარკის სამხრეთი მონაკვეთი განახლდა და გაფართოვდა, ისე რომ ყვავილებით მორთული მიმზიდველია მოსახლეობისათვის და დასასვენებლად სასურველი.

ახლახან ვაგზლის მოედანზე, თვალსაჩინო ადგილას დაიდგა გამჭვირვალე ჩარჩოში ჩასმული, ძველი მოდელის ავტომობილის მაკეტი. რომელიც მნახელთა დიდ ინტერესს იწვევს და წარმოადგენს წარსულის ნათელი დღეების გახსენების კარგ მაგალითს.

დიდი სოკრატემ თავის დროზე ადამიანთა ყურადღება მიიქცია, ძველი ტაძრის ფონზე ამოტვიფრულ სიტყვების და ბრძანა" შეიცანი თავი შენი".

წინაპრების გახსენება და მათი ღვაწლისადმი პატივის მიგება საშური საქმეა. კულტურა სულის მეტყველებაა, ყოფიერება კი ტრადიციებისა და ზნეობის გამოვლინება.

სენაკში ვაგზლის მოედანზე დადგმული ძველი მანქანის მაკეტი მაგალითია იმისა, რომ თითქმის საუკუნე ნახევრის წინ სენაკის ქუჩებში. სწორედ ამგვარი ევროპიდან ჩამოყვანილი ავტომობილი დაგორავდა.

ეს იყო პირველი ავტომობილთაგანი საქართველოში. მაშინ სენაკში ამ მოვლენამ დიდი ინტერესი გამოიწვია. თუმცა, დღესაც არ კარგავს მოსახლეობა ინტერესს გარდასულ დღეთა მიმართ. რადგან აინტერესებთ, როგორი იყო მეოცე საუკუნის დასაწყისში ადამიანთა გადაადგილების საშუალება.

მისასალმებელია რომ მუნიციპალიტეტის მერის, ლევან კუპრეიშვილის, მოადგილეების: გრიგოლ ბაღათურიასა და კახაბერ კუპრეიშვილის ინიციატივით მოხერხდა ...შშს სამინისტროს არქივში ნაპოვნი ფოტოსურათის მიხედვით ძველი ავტომობილის მაკეტის შექმნა, ქალაქის ცენტრში დადგმა და პატივის მიგება მისი ქართველ მფლობელისადმი. რომელმაც ინება, შეისყიდა და უჩვენა მშობლიურ მოსახლეობას ოთხ ბორბალზე მოძრავი ,,ტრანსპორტი."

როგორ მოხდა ეს ყოველივე?

აზნაურმა ვარლამ გვათუამ, რომელიც გადმოცემით, სოჭში აფთიაქების ქსელის მფლობელი იყო, ევროპიდან, მძღოლთან ერთად გამოიწერა 10 ცხენის ძალიანი (მძღოლის გარდა) ოთხადგილიანი ,,მორისი", თურმე გვათუამ ამ მანქანის ყიდვა ნიკოლოზ რომანოვს დაასწრო.

1908 წლის გაზაფხულში ახალი სენაკის დაბის მოსახლეობას ელვასავით მოედო ცნობა, რომ აზნაურ ვარლამ გვათუამ "ავტომობილი" ჩამოიყვანა, რომელიც ოთხ ბორბალზე დგას და სწრაფად დარბისო. სანახავად აუარება ხალხი გამოვიდა..

რკინის ეს „მოწყობილობა" მართლაც საუცხოო სანახავი იყო. გვათუამ მანქანა ჩამოიყვანა თავისი ნათესავის, ჭიჭიკო იოსავასთან. რადგან გრძნობდა, რომ სამეგრელოში ეს პირველი ავტომობილი იყო, მოიწვია ფოტოგრაფი, ახალი სენაკის თავკაცები, თავადები: ფარნაოზ და ბარდღა მხეიძეები, თავად მიუჯდა საჭეს და საჩვენებელი რბოლა გამართა, რომელსაც მოსახლეობამ " ვარლამის რბოლა" უწოდა.

ფოტოზე, აღბეჭდილია ვ. გვათუას კუთვნილი ტრანსპორტი და სანახავად მოსული ადამიანები, აშკარად ჩანს, რომ გაზაფხულის თვეა. მანქანასთან, მარცხენა მხარეს, დგანან მოსახლეობის წარმომადგენლები, ხოლო მარჯვნივ, მაღალი საზოგადოების წევრები. მათ შორის მდგარი მამაკაცი ცილინდრითა და „ტროსით" ხელში, უნდა იყოს ვარლამ გვათუა. ხოლო საჭესთან ზის ევროპიდან ჩამოყვანილი მძღოლი.

ბორის დავითაია

პრევენციის მნიშვნელოვანი წინაპირობა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო მოქალაქეებს კიდევ ერთხელ მოუწოდებს, იმოქმედონ დადგენილი რეგულაციებით, ატარონ პირბადეები და დაიცვან სოციალური დისტანცია, რაც ინფიცირების შემთხვევების პრევენციის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საბჭოს დღევანდელ სხდომაზე, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა და ვირუსის გავრცელების დინამიკა განიხილეს. აღინიშნა, რომ ინფიცირების შემთხვევების გაზრდილი რაოდენობა პანიკის საფუძველს არ ქმნის, ვინაიდან სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება და მართვადია.

კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და ქვეყნის მასშტაბით მკაცრი შეზღუდვების დაწესება არ იგეგმება.

როგორც მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა ნათია მეზვრიშვილმა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ, ბრიფინგზე განაცხადა, ეკონომიკა ვერ ჩაიკეტება, რადგან ეს დააზარალებს მოქალაქეებს; შესაბამისად, იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს, თითოეულმა მოქალაქემ მაღალი პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინოს. ცალკეულ შემთხვევაში გამოყენებული იქნება მიზნობრივი, ლოკალური შეზღუდვები კონკრეტულად იმ რეგიონებში, სადაც მსგავსი საჭიროება დადგება და ამის შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია წინასწარ მიეწოდება.

ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტებმა კიდევ ერთხელ გაამახვილეს ყურადღება პირბადის გამოყენების მნიშვნელობაზე, რომელიც მათი შეფასებით, მსოფლიოში აღიარებულია, როგორც ვირუსისგან დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება.

„ჩვენ დღეს ისეთ სიტუაციაში ვიმყოფებით და იმდენი რამ გვაქვს ნასწავლი, რომ ჯარიმებისა და მკაცრი მიდგომების გარეშეც, პირბადეს უნდა ვატარებდეთ და დისტანციას ვიცავდეთ. ინფიცირების რაოდენობის ზრდა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად დაიცავს წესებს თითოეული ჩვენგანი. როდესაც ვსაუბრობთ, როგორც პირბადის ტარების, ისე დისტანციის დაცვისა და არასაჭირო შეკრებებში მონაწილეობისგან თავშეკავების აუცილებლობაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეული ჩვენგანის მიერ გამოჩენილი წინდაუხედაობა პირდაპირ კავშირშია ინფიცირების რაოდენობასთან",- განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

22 სექტემბრის მონაცემებით, საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების 3913 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც 1574 პირი გამოჯანმრთელდა. უცხოეთიდან სამკურნალოდ საქართველოში გადმოყვანილია საქართველოს 41 მოქალაქე. გარდაცვლილია 23 ადამიანი.

ამ ეტაპზე კარანტინში იმყოფება 5255 ადამიანი, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ - 836 პირი.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტი, თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძის ხელმძღვანელობით და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

კორონავირუსის შემთხვევები სენაკში

როგორც ცნობილია ეპიდემიოლოგიური სიტუაცია შეიცვალა როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე ჩვენს მუნიციპალიტეტში.

კორონავირუსი დაფიქსირდა სენაკის მუნიციპალიტეტში. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას გვაწვდის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ქალბატონი ანა ჭიჭაღუა.

სენაკის მუნიციპალიტეტში 24 სექტემბრის მდგომარეობით გვაქვს COVID 19-ის 6 დადებითი შემთხვევა. მოძიებულია დაავადებულების 115 კონტაქტი, რომლებიც იმყოფებიან თვითიზოლაციაში. მათ 12 დღის შემდეგ გაუკეთდებათ განმეორებითი პისიარ ტესტები.

გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მასშტაბით ტარდება გეგმიური პისიარ ტესტირება: პირველადი ჯანდაცვის თანამშრომლებზე, შსს მუშაკებზე და შიდა სამარშრუტო ტაქსის მძღოლებზე.

უნდა დავემორჩილოთ დაწესებულ რეგულაციებს. დავიცვათ დისტანცია, ვატაროთ პირბადე და დავიბანოთ ხელები ხშირად.

მოამზადა მ. მიქაბერიძემ

განცხადება

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საქართველოს პარლამენტის არჩევნების მიმდინარე წლის 31 ოქტომბერში დანიშვნასთან დაკავშირებით „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების ზოგადი რეგულაციების" შესაბამისად მედიისათვის განსაზღვრული ვალდებულებით, რაც საზოგადოების არჩევნების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას და არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და დეპუტატობის კანდიდატთა თანაბარი პირობების შექმნას უკავშირდება, გაზეთ „კოლხეთში" წინა საარჩევნო აგიტაციისა და რეკლამებისთვის გამოიყო მიმდინარე წლის სექტემბრისა და ოქტომბრის თვის ნომრებში (№ 18-19-20) (პერიოდულობა 16-30 სექტემბერი; 1-15 ოქტომბერი, 16-31 ოქტომბერი) ორი გვერდი, დაწესდა ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის თანაბარი ფასიანი(1 სამაკეტო უჯრა) და უფასო ფართი. მოცულობა -გამოყოფილი 1 ერთი გვერდის მესამედი თითოეული დეპუტატობის კანდიდატისა და პარტიებისთვის.

არჩევნებში მონაწილე სუბიექტებმა მოგვმართონ შემდეგ მისამართზე: ჭავჭავაძის ქ.№103, ტელეფონი: 0413 27 61 50

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია

სინანული!

„სიცოცხლე კია უმძიმესი თუმცა სასჯელი, მაგრამ გავიქცე, არ გავიქცე, რა ვქნა არ ვიცი"... ხშირად გვითქვამს სვეგამწარებულ მამებს ერთმანეთისთვის მუხრანის სიტყვები, მაგრამ როგორც ვერავინ ვერ გაქცევია ცხოვრების უკუღმართობას, ვერც ჩვენ გავექეცით, ჩემო რეზო.

რეზო ჯანჯღავა სენაკში დაბადებულმა და გაზრდილმა ღირსეულმა კაცმა მთელი ცხოვრება შეალია მშობლიური სენაკის სასიკეთო და ნათელი მომავლის სამსახურს და ისე წავიდა, რომ არც ქვეყნის და არც კაცის ვალი არ გაჰყოლია

ამ დიდად მორიდებულ, მოკრძალებულ ადამიანს არასოდეს დაუხევია უკან, როცა ამას საქვეყნო საქმე მოითხოვდა. იგი ყოველთვის პრინციპული, უკომპრომისო იყო სიყალბისა და უზნეობის წინააღმდეგ. დიდი ერუდიციით, მახვილი და მოზომილი სიტყვით წლების განმავლობაში ამდიდრებდა და ალამაზებდა სენაკელთა სულიერ საზრდოს, ჩვენს სათაყვანო გაზეთს „კოლხეთს" არა მარტო მხოლოდ როგორც რედაქტორი, არამედ მისი მეჭირნახულე და ჟურნალისტთა ძველი თაობის საქმის ერთგული გამგრძელებელი.

იგი უდიდესი პასუხისმგებლობით და მონდომებით წლების განმავლობაში სათავეში ედგა სენაკის ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომელიც ღირსეული სენაკელისა და საზოგადო მოღვაწის ბატონი კალისტრატე შარტავასაგან ჩაიბარა. დღეს მუზეუმის მთელი კოლექტივი დიდ მწუხარებას გამოხატავს ბატონი რეზოს არ ყოფნის გამო და არასოდეს დაივიწყებს ამ დიდ და გამორჩეულ პიროვნებებს.

სენაკელები არასოდეს დაივიწყებენ მრავალ მის მიერ გაწეულ ამაგთან ერთად იმ დიდ შრომას, რომელიც მან, სენაკის საპატიო მოქალაქემ საზოგადოება „სენაკელის" ჩამოყალიბებასა და მის განმტკიცებას მოახმარა. თვითონ უახლოესი ადამიანების უდიდესი ტრაგედიის მომსწრეს არ გამორჩებოდა სხვადასხვა თაობის სენაკელთა ხსოვნის პატივისცემა და დაფასება. ჩვენ მის გვერდით მდგომთ მუდამ გვემახსოვრება სახელმწიფო თეატრსა თუ სხვა თავშეყრის ადგილებში სინანულით, სიყვარულით და სითბოთი სავსე შეხვედრები, რომლებიც განურჩევლად მიეძღვნა ყველაზე მადლიან საქმეს, რომელსაც ჩვენგან წასულების ხსოვნის არ დავიწყება ჰქვია, რომლის დევიზი იყო „რამდენი ჩვენგან წასული კაცის ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს".

და წავიდა ჩვენი რეზო ჯანჯღავა მის თვალისჩინ, უსაყვარლეს ლევანთან, მისი ოჯახის მშვენებასთან, ღირსეულ ქალბატონ ელენესთან, მის უახლოეს ადამიანებთან. უფალმა ძალა მისცეს წლობით მამის სასთუმალს მოუცილებელ და დიდი ოჯახის იმედს თამთას რათა არასოდეს ჩაქრეს ჯანჯღავების ოჯახის კერა.

ჩვენ კი ყოველთვის ვიტყვით რაც იცხოვრა ღირსეულად იცხოვრა და მართალი კაცის ზნეობრივი გზით იარა.

ნათელში მისი სული.

დამირ კუჭავა,
სენაკის ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი, სენაკის საპატიო მოქალაქე

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499